

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типо-литъ. ВЪ редакцію газ. „Др о в а“.

ბაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

უოკვლ დღე ორშაბათს ბარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

ბანსხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.
ფასი ბანსხადებისა: დღე ასო-კბით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციციროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ამ პირველი ივლისიდან ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типо-литъ. ВЪ редакцію газеты „Др о в а.“

ტელეგრაფები

სტამბოლი, 27 ივლისს. ტყვილია ის ხმა, ვითომც ოსმალეთის მმართველობას რუსეთთან მორიგება ჰსურდეს. მშვიდობიანობაზე ლაპარაკის ჩამოგდება პორტას ჯერ უღროვოთ მიაჩნია.

იუბლი, 27 ივლისს. ბერმანიისა და აესტრიის იმპერატორებმა ნახეს აქ დღეს ერთმანერთი.

ლონდონი, 27 ივლისს. საზოგადოებათა პალატაში ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზე, ვითომც რუსეთს, ბერმანიასა და აესტრიას რაღაც საიდუმლო პირობა ჰქონდეთ ერთმანეთში შეკრული. მინისტრმა ნორტკოტმა სთქვა, რომ ამ საგნის შესახებ ინგლისის მმართველობას ჯერ არაფერი ცნობა არ მიუღია.

ლონდონი, 28 ივლისს. აშობენ, რომ ამ დღეებში ლორდი ბიკონსფილდი იტყვის პალატაში სიტყვას, რომელშიაც გამოცხადებული იქნება—თუ რა პოლიტიკით ხელმძღვანელობს ინგლისის მმართველობა აღმოსავლეთის საქმეებში.

სტამბოლი, 28 ივლისს ოსმალეთის მმართველობამ გამოუცხადა ინგლისის ელჩს ლეიარდს, რომ თვითონ ოსმალეთი გაამაგრებს ბალიზოლის კუნძულს ისე, რომ აქ მტრის თავ-დასხმის არ ეშინოდეს.

ოქვის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

მენის გაზეთს „Nene Feie Presse“-ს შემდეგი დეპეშა მოუვიდა თავის არზრუმელი კორრესპონდენტისაგან 15 ივლისს:

„რადგან მუხთარ-ფაშას განზრახვა აქვს, რომ რუსეთის სამხედვარზე გადავიდეს, ამის გამო ხშირად აგზავნის თავის ცხენოსან ჯარს ამ სამხედვრებისა და იქითკენ დაყენებული რუსის ჯარების დასათვლიერებელად. სხვათა შორის, დღეს გაგზავნა იმან ამავე განზრახვით ორი ცხენოსანი პოლკი და ამავე დროს თვითონ ქვევითა ჯარით რუსის მთავარ კორპუსს აუტეხა სროლა. რუსები არ მოელოდნენ მტრის თავ-დასხმას; მაგრამ მაინც უეცრად დაჰხადეს 10 პოლკი ცხენოსანი და 16 ბატალიონი ქვევითა ჯარი. მაგრამ ეს შეტაკება მხოლოდ რამდენიმე ზარბაზნის სროლით გათავდა რადგან ამ დროს საშინელი წვიმა დასეტყვა მოვიდა და დაბნელდა. ორივე მოწინააღმდეგენი თავ-თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ.“

„რუსის სავზღვარზე გაგზავნილმა ცხენოსანმა ატრიადმა მიიტანა ამბავი, რომ ისინი გადასულან რუსეთის სამხედვარზე სამი საათის სავალზე, დაუთვლიერებიათ იმათი ჯარი და გამაგრებული ალაგები და დარწმუნდნენ რომ აქეთკენ რუსებს იმდენი ძალა არა აქვთ, რომ შურაგელის მხარე დაიცივან და ამის გამო იძულებულნი შეიქნებიან, რომ თავის სამხედვარზე გადავიდნენ.“

ამავე გაზეთის შარსელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ორივე მოწინააღმდეგე ჯარი—რუსებისა და ოსმალებისა—ერთმანეთის პირ-და-პირ დგანან ბანაკათო და ყოველ მინუტისთვის მზათ არიან, რომ შეებან ერთმანეთს. ამისივე სიტყვით, ოსმალთს ცხენოსანი ატრიადები თითქმის ყოველ დღე გადადიან მდ. არფა-ჩაიზე და ამათსა და რუსის ჯარს შუა ხშირად შეტაკება არისო.

„ბირშის აგენტობაში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრაფმა, რომელიც ამ გაზეთს 18 ივლისს მიუღია პეტერბურლიდან:

„ალექსანდრაპოლი, 18 ივლისს.“

ლისს. ოსმალთს ჯარმა დაიჭირა სოფ. ზანიმი და გაცარცვა აქაური მცხოვრებლები. ძალად აწერიდნენ ხალხს ხელს ქალღმრთველზე, რომელშიაც მოთვლილი თვითონ ამათგანვე მოგონილი ამბები, ვითომ როცა რუსები აქ იყვნენ, ისინი აწვადებდნენ და სცარცვამდნენ მაჰმადიანებსა. აქ ყველა დარწმუნებულია, რომ როგორც დენ. ადიუტ. ლორის მელიქოვს ახალი ჯარი მოუვა რუსეთიდან, იმ წამსვე ისევ წინ გასწევს შარსისაკენო.“

მეორე ტელეგრაფის აგენტობა—რეიტერისა გეაცნობებს შემდეგ ამბავს იმ შეტაკების თაობაზე, რომელიც ავლისს 15-ს ყოფილა რუსებსა და ოსმალებს შუა სომხეთის ძველსა ტახტო ქალაქთან—ანთან:

„ბუშინ, 14-ს, რუსის ჯარს 16 ბატალიონმა და 7 ბატარეამ განიზრახეს ქალაქის ანის აღება. მაგრამ ორმა ოსმალთს ღენერალმა პლი-ფაშამ და მდებრეფაშამ ხუთი საათის განმავლობაში შეაჩერეს რუსები და არ მიუშვეს ამ ქალაქამდე, შემდეგ საშინელი სეტყვამა და წვიმამ შეაჩერა ბრძოლა და მოწინააღმდეგენი უკან დაბრუნდნენ. (მკითხველმა იცის, რომ ეს ქალაქი რუსის ჯარმა უკვე დაიპყრო).“

ვეროკის ბრძოლის ველიდან

სტამბოლიდან ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებია, რომ ამ თვის 16-მდინ რუსის ჯარის რიცხვი ბალკანის მთების გადაღმა სულ 45,000 კაცი არისო.

აქედამვე მოვიდა ამბავი, რომ ღენერალ ბლიუმს დაუთვლიერებია სულეიმან-ფაშისა და რეუფ-ფაშის არმიები და გამოუცხადებია, რომ ეს ჯარი ძალიან კარგათ გაუძღვლებს რუსებს, თუ გამაგრებულ ალაგზე და ცხებებში დაეცნენ იმათ რუსებო; მაგრამ გაშლილ ბრძოლის ველზე ეს ჯარი არ კმარაო.

მენის გაზეთი „Deutsche Zeitung“ გეაცნობებს, რომ მეჰმედ პლი-ფაშას მოწინავე ჯარმა ხელ-ახლად დაიპყრო რუსებისაგან აღებული ქალაქი ტირნოვო.

მეორე მენის გაზეთი „Presse“ გეაცნობინებს, რომ ზღვიდამ გამოსულმა ოსმალთს ჯარმა ივლისის 19-ს ხელ-ახ

ლად დაიპყრო აგრეთვე ქალაქი ქუსტე-
ჩჯო.

„რეიტერის აგენტობაში“ დაბეჭდილია
შემდეგი ტელეგრამმა 15 ივლისს სტამ-
ბოლიდამ გამოგზავნილი:

„სულიმან-ფაშას ბრძანება მოუვიდა,
რომ თავის ჯარებით ადრიანოპოლისა-
კენ დაიწიოს. თვითონ ქალაქის ადრიან-
ოპოლის გამაგრება ჯერ სრულებით
არ არის გათავებული. სამხედრო მინისტ-
ტრის განკარგულებით ამ ქალაქის სიმა-
გრებზე 80 ზაბაზანი უნდა იქნეს დადგ-
მული და ისეთს ალაგებზე უნდა გააჩერონ
ეს ზარბაზნები, საიდანაც მტრის მოს-
ვლას მოელოან. მომეტებული ნაწილი
ამ ზარბაზნებისა უკვე მოტანილია ად-
რიანოპოლში, ზოგიც ახლა მოდის
ზოგიც სტამბოლიდამ. ადრიანოპოლს
გარდა, ამჟამად ამაგრებენ აგრეთვე ქ.
სოფიასაც.“

ამავე გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე
სტამბოლიდამ 17 ივლისს მიღებული
შემდეგი დეპეშა:

„ოსმან-ფაშას ტელეგრამმა მოვიდა
აქ (სტამბოლში) და იწერება, რომ, თუმ-
ცა ჩვენი ჯარი ძალიან მარჯვეთ დახვდა
რუსის ჯარს, მაგრამ იმათ, რადგან რიც-
ხვით მომეტებული იყვნენ, ქ. ლოვჩა
აიღეს. ბუშინ ჩვენ გავგზავნეთ პლეე-
ნიდამ ახალი ჯარები, რომელნიც დაეც-
ნენ ლოვჩაში გამაგრებულ რუსებს და,
ფიცხელ ბრძოლის შემდეგ, ჩვენ ხელ-
ახლად იერიშით ავიღეთ ეს ქალაქი და
რუსებმა კი გავდევნეთ აქედამ.“

პეტერბურის „ნემეცურს გაზეთმა“
შემდეგი დეპეშა მიიღო მენიდან 20 ივ-
ლისს:

„აქ ხმა არის, რომ საშუალო ბოლგა-
რიაში ფიცხელი შეტაკებები და ბძოლა
იმართება ხშირად მეომრებს შუაო. რუ-
სები ცდილობენ, რომ მეჭმედ-ალი-ფა-
შისა და ოსმან-ფაშას არმიებს შეერთ-
ება დაუშალონ. სულიმან-ფაშა ჩრდი-
ლოეთით მოქმედებს. ჰეგვიტის პრინცი
ჰასანი, რომელიც ბაზარჯიყში არის
დაბანაკებული, უკანდამ იცვავს, იფა-
ინრა მეჭმედ-ალი ფაშის არმიას.“

რუსჩუკთან შეტაკების თაობაზედ
ბუხარესტის კორესპონდენტი სწერს ერთ
მენის გაზეთში 15 ივლისს შემდეგ:

რუსჩუკთან შეტაკება რუსების სასარ-
გებლოთ არ გათავდა; ოსმალებმა დაი-
ტოვეს თავიანთი გამაგრებული ადგილი.
დადამებისას რუსები შეეტაკნენ და დაუ-
წყეს სროლა ერთს რუსჩუკის სიმაგრეს,
მაგრამ ოსმალებმა დაამარცხეს.

ზარალი დიდი მოუვიდათ რუსებს,
თუმცა ნამდვილი რიცხვი ჯერ არ ვი-
ციით.

ლოვჩის წართმევაზე პორტა სწერს
თავიანთ მეროპის წარმომადგენლებს
შემდეგ ტელეგრამას 19 ივლისიდან:

„ჩვენი დივიზია პლეენიდან დაეცა
რუსებს, რომელნიც გამაგრებული იყე-
ნენ ლოვჩთან. მტერი დაეპარცხეთ და
გაეპატივით სელევიისკენ. ჩვენ შევედით
ქალაქში და დავიხსენით 170 ოსმალო,
რომელნიც ბორკილ გაყრილი ჰყვანდათ.
მცხოვრებლები ჩიოდნენ, რომ წვალე-
ბაში იყვნენ რუსების ხელში.“

ინგლისურ გაზეთის „Times“-ის სპეციალ-
ური კორესპონდენტი იწერება შემ-

ლიდამ, რომ მეჭმედ-ალი-ფაშამ ამ მო-
კლე ხნის განმავლობაში სრულად ახა-
ლი მიმართულება მისცა სამხედრო საქ-
მეებს, ის განთქმულია სალდათებ შუა
და დიდი დანდობაც აქეთო. სამხედრო
პირებს და მცხოვრებლებს მიეცათ იმე-
დი, რომ უკეთესი მომავალი მოელოსთ,
რადგან წინამძღოლი მოუღებს ბოლოს
ყველა გვარ ურიგობასაო.

საქართველო

დღიური

* * * ძალიან ცუდი ამბები მოგვდის ახალ-
ციხიდან და აჭარის იმ სოფლებიდან,
რომელიც, ამ ბრძოლის დაწყებისათანა-
ვე, ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს: გვეუბნე-
ბიან, რომ აჭარლებს რაღაც მზადება და
ფაცა-ფუცი აქეთო, აქიდან მოსულები
გვეუბნებიანო, რომ დღეს თუ ხვალ ისი-
ნი რუსის სამზღვარზე გამოსვლას აპი-
რებენო, შოცხოვის სოფლებში მუდამ
თითქმის ეცემიანო და საქონელს იტაცე-
ბენო და სხ.

ზანსაკუთრებით გაბრაზებული არიან
თურმე აჭარლები იმ თავის თანამემამუ-
ლებზე, რომელნიც თავიდანვე რუსებს
მიემხრენ, თოფის გაუსროლელად შემო-
უშვეს ჯარი თავის სოფლებში და რო-
მელთაც თავის ქვეყნის ღალატს აბრა-
ლებენო; საცა კი წაეწვიან ამათ, არა
ზოგავენო, ამათი თვითონ იჭერენ, ტყვედ
მიჰყავთ, ოჯახსა და სახლ-კარს უოხრე-
ბენ; სხვათა შორის აჭარის შექირბევი
და ერთი კიდევ სხვა ბევი მოიტაცეს და
დატყვევებული წაიყვანეს ამ დღეებში

ფელტონი

ლევანდა გორის ჯვარზედ

მითხელ, ჩვეულებისებრ, თამარ დე-
დოფალი ბორში ბძანებულა და რაღაც
შემახვევის გამოთ მას გაჰფრენია თავის
საყვარელი ქორი. იმ გორაზე დამჯდარა
ეს ქორი, სადაც ეხლა ბორი-ჯვრის
ეკლესია არის აშენებული.

იმ დროს მტკვარი აღიდებული ყოფი-
ლა ისე, რომ განსვლა არავის შესძლებია,
რომ ქორი გამოეყვანათ და ამისათვის
თ მარს უბძანებია:

— მინც ჩემ ქორს გამომგერის, რა-
საც მთხოვს, იმას მიეცემ!

მართი ყმაწვილი კაცი წამომდგარა და
მოუხსენებია დედოფლისათვის, მე ვარ
თქვენი ბძანების ამსრულებელიო, და კი-
დეც შეცურებულა მტკვარში.

მაგრამ ამ დროს რაღაც აზრი მოსე-

ლია თამარს: რასაც მთხოვ, იმას მოგცე-
მო, რო უთხარიო, ვაი თუ ისეთი რამ
მთხოვოს ამ კაცმაო, რომლის მიცემაც
არ შეიძლებაო! პირჯვარი გადიწერა
თურმე დედოფალმა და სთქვა:

ღმერთო, თუ ეს განზრახვა ჰქონდეს
იმ ყმაწვილ კაცს, ცოცხალს ნუ გაი-
ყვან!

მართლაც და ამ სიტყვისათანავე დას-
ძირა თურმე მტკვარში ის კაცი, ამის
მნახავმა თამარმა ძრიელ მოიწყინაო,
რომ მის სიტყვით ის კაცი დაიხრავო,
მაშინვე შეგზავნა მსურავი კაცები, რომ
გამოეყვანათ ის დამხრჩვლი კაცი. მსურ-
რავებმა დამხრჩვლის გამოტანა გამოლ-
მა ვერ შეიძლესო და გაღმა გაიტანესო,
თან ქორიც გამოგვარეს და მოახსენეს
დედოფალსაო;

დამხრჩვლი კაცისას რას გვიბრძა-
ნებო?

დედოფალმა უბძანა:

ზადით, ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც
ქორი იყო და ჯვარი დადგით, რომ ის
არ დაიკარგოს; მე მსურს ეკლესია დავა-
დგა და თქვენც იცოდეთ, რომ იმ ეკ-
ლესიას „შორის ჯვარი“ ერქმევაო.

მართლაც, ერთი კვირის შემდეგ იქ
ეკლესია დადგაო, რომელსაც ეხლა ბო-
რის ჯვარს ეძახიანო.

მს ამბავი ძველი კაცებისაგან და ხალ-
ხშიაც გამოგია და მართლის გეოგრაფი-
ული ახწერაც ამბობს, რომ ბორი ჯვარ-
ში წყარო რუსუდან დედოფალმა მოი-
ყვანაო; მაშ შეიძლება ეს ამბავი მართა-
ლი იყოს, რადგანაც რუსუდანი თამარის
ქალი ყოფილა. მეს სახელი შემდეგში
გადაუკეთებიათ „ბორის-ჯვრათ“, რო-
გორც მაგალითად „შოლომს ცინე“
„შულის ცინეთ“ და „არმაზის წყალი“
„ალმასის წყლათ“ არის ხოლმე დროს
განმავლობაში ხალხისაგან გა-
დაკეთებული:

ი. ს. დ.

და სხვ. და სხვ. ჯარების მომატებას თხოულობენ.

ახლა, როცა რამდენიმე პოლიკ რუსეთილამ პოლიტიკ მე-40 დღეებისა მივიდა იქ, ამედი აქეთ, რომ ეს ჯარი დაუთხოვს აქარლებს და ისე თავ-ადერილად და უშიშრად აღარ დაიწყებენ მოქმედებას, როგორც დღემდინ იქცეოდნენ.

* * * მასულ ოთხშაბათს ჩვენს ქალაქში მოიყვანეს თითქმის ასამდისინ ოსმალოები, რომელიც, როგორც ამბობენ, ტერ-ლუკასოვის ჯარისაგან არიან დატყვევებულინი. საწყალი შეხედულება ჰქონდათ ამათროგორც სახით, აგრეთვე ტანთ-საცმლით, რომ ეტყობოდათ ბევრი განსაცდელი გამოუყოლით.

* * * ამ დღეებში მოვიდა ქალაქში შინლანდიის საზოგადოების ხარჯით გამართული და ჩვენს ბრძოლის ველზე გამოგზავნილი ლაზარეთი დაქრილ და ავთამყოფ მემორებისათვის.

ჩვენ გვითხრეს, რომ ეს ლაზარეთი ყველა სხვა ლაზარეთებზე უფრო კარგათ და თავიანთ არის გამართული, ჩინებული ექიმები ჰყავთ, კარგათ დაჯილდოებული მომვლელები, წამლები ბლომათ, სუფთა ქვეშაგები და სხვა ყველაფერი რაც ავთამყოფებისთვის საჭიროა. ეს „შინლანდიის ლაზარეთი“, როგორც გვითხრეს, შრევანში იქნება გამართული.

* * * „მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ ღენერალი ჩერნიაევი რომელმანც ასეთი სახელი დაიშასურა შარშან სერბიამ, მოსკოვიდამ გამოსულა და ქვეკასიაში მოდისო. რისთვის და რა ვანზარახვით—ამაზე ხსენებული გაზეთი არა-რას ვეატყობინებს.

* * * თქლავიდამ გვწერენ, რომ იქაურს ესრედ-წოდებულ „მაღალ საზოგადოებაში“, ამ უკანასკნელ დროს რაღაც საშინელი არეულობა, ჭირები და უკმაყოფილება გაჩნდაო. შანსაკუთრებით გასათხოვარი ქალების დედები არიან თურმე გაჯავრებული ერთს იქაურ გავლენიან თ. ღ. ჯ—მე, რომელიც თელავის ქალებზე რაღაც შეუსაბამო ხმებს ავრცელებს და ყველას არწმუნებსო, რომ ესა-და-ეს სულიერები მე თვითონ ჩემის თვლით ამა-და-ამ ბუჩქის ძირში ვნახეო და სხვ. და სხვ.

* * * ამ დღეებში ზოგიერთ თელაველ ახალგაზრდებს, ერთის იქაურ წმ. ნინოს ზავედნიის ღარიბი ქალის სასარგებლოდ ქართული წარმოდგენის გამართვა უნდოდათ; მაგრამ ქალების დედებს შეეშინდათ ჭორებისაო და თავიანთ ქალებს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების ნება არ მისცესო და ამის გამო ეს კეთილი განზარახვა ჯერ-ჯერობით ვერ შეასრულესო.

რუსო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლიდამ, რაც დღე გადის, ისე თან-და-თან ცუდი ამბები მოაქვს სამზღვარ გარეთის გაზეთებსა: ერთს უბრალო ხმას, ხანდისხან სრულებით უსაფუძვლოს, რომ რუსებმა აზიის ან მეროპის ომის ველზე ჩხუბი მოიგესო, მთელი სტამბოლის მცხოვრებლები წარმომდგენელს მდგომარეობაში მოჰყავს ადვლებს მას და სასოწარკვეთილებაში ადგებს. „რაღა ლაპარაკი უნდა, ამბობს ხალხი, რომ „მოსკოველები“ (ასე ეძახიან რუსებს) დღეს თუ ხვალ სტამბოლში შემოვლენ, მაგრამ არ გეგონოს, რომ მტერს გულ-ხელ დაკრფილი დავებებით; მზათა ვართ თავი შევაკლათ მათ, სანამდისინ ერთს ნამცეცა ჩვენი საკუთრებიდგან რამეს წაიღებენ!“

ამის თაობაზედვე აი რას იწერებიან სტამბოლიდამ ერთს ნემეცურს გაზეთში: „რუსები რაც უფრო უხლოვდებიან სტამბოლს, ისე უფრო აღვლევებულათ და ძალ-დატანებით თხოულობს სტამბოლელი ხალხი, რომ წინასწარმეტყველის (მაჰმადის) დროში გაშალონ, ხალხს დაანახონ, რომ იმის მეოხებით თავგანწირულობას მიცემულმა ხალხმა უფრო გაგებულად და მამაცად ამოსწყვიტოს მტერი.“ როდესაც ეს ხსენებული დროში გაიშლება, მაშინ ყოველი ოსმალელი ვალდებულია, მათთვის ცოლი, შვილი, ოჯახი, ერთი სიტყვით რაც მისთვის უძვირფასესს ქონებას შეადგენს, და გასწიოს თავისი სარწმუნოების დასაცვლათ. ბარდა ამისა ამ დროშის შემდეგ მუსულმანების კანონით ექსილით ვალის გარდახდის ვადა შეჩერდება ხოლმე განუსამზღვრელ დრომდინ და არამც თუ კერძო ვალების, არამედ სახელმწიფო ვალების ვადაც. ამ გარემოებას ძრიელ შეუშინებია მეროპის ბირჟები და განსაკუთრებით ლონდონისა, რადგან ვიცით, რომ უმთავრესი მოვალეები ოსმალისა ლონდონის გამოჩენილი ვაჭრებიდამ ჰყავს. საზოგადოთ, რადგან იციან, რომ დროშის გაშლას ძრიელ ბევრი ცუდი შედეგი ექმნება, ამიტომაც ამას წინათ შეკრებილან სტამბოლში ოსმალის განვლენიანი პირები, როგორც სამოქალაქო ისე სასულიერო წოდებისა, რომ კარგათ მოეფიქრათ და გაესაჯათ ეს საქმე. პრებაზე უმეტესობა, გარდა შეინ-შლ-ოსლამისა, დროშის გაშლის მომხრენი აღმოჩენილა. „მეროპა დარწმუნებულია, სთქვა მან, რომ ახლათ მოხდენილი რეფორმების შემდეგ ოსმალისაგან სარწმუნოებითი ომის ხელის მიჰყავთა შეუძლებელია, რომელ-

საც შეუძლიან იგი კიდევ უფარეს მდგომარეობაში ჩაადოს, ენგემცქე ენგლამ-ყოფება“. ამის მაგიტე ქმინ-შლ-ოსლამ-ში ურჩევს მმართველობას, მიჰმართოს ოსმალის ქვეშევრდომთა წერილით (პროკლამაციით), რომ გამოვიდნენ ისენი სამშობლოსა და სახელმწიფოს დასაცველათ და არა ისლამისა.

— ამ უკანასკნელს დროს პარიჟის დიპლომატიურს წრეებში ხმა გავრცელებულა, რომ ინგლისის ჯარებისაგან სტამბოლის მოკავეების შესახებ პირობაზე ხელი მოუწერიათ ინგლისისა და ოსმალის წარმომადგენლებს.

— ბაზ. „Politik“-ში დაბეჭდილია მენი-დამ მოსული შემდეგი ტელეგრამა: თუ რომ ინგლისმა ბალონობლი მოიკავა ჯარებით, მაშინ ბერმანია დაიჭერს სმირნას, აესტრია—სალონიკსა და იტალიაც—ალბანიასა.

— მიტჰალ-ფაშის დაბრუნებაზე შემდეგ ამბავს ეკითხულობთ ვაზ. „Etsafette“-ში: „რადგან სულთანს სურდა რომ თავისი სამფლობელოს დაცვას უფრო მეტი ენერგია და ძალა მიჰმატებოდა, უბრძანებია ეკითხათ მითჰადისათვის: უნდა თუ არა მას თავისი სამშობლოში დაბრუნება. მითჰადს პასუხათ შემდეგი დებემა გამოუგზავნია: „მზათა ვარ ყოველ-გვარი მსხვერპლისათვის, ოლონდ მონაწილე კი გამხადეთ სამშობლოს საშიში მდგომარეობისა: ესდებ ჩემ თავს სულთანის სრულსგან კარგულების ქვეშ.“ სულთანმა დიდის კმაყოფილებით მიიღო მითჰადის ეს წინადადება, რომლის შემდეგაც სტამბოლიდამ გამოწვევის დებემაც გაუგზავნეს.

ნარები

მოგვეყვას ქაეკასიის სხვა და სხვა გუბერნიებში მცხოვრებ მაჰმადიანების რიცხვი, რადგან ამ ცნობას ახლა განსაკუთრებული ინტერესი უნდა ჰქონდეს:

აფხაზეთში ითვლება სულ—70,000 სულამდი ორივე სქესის მცხოვრებნი; ამათში მხოლოდ 10,000 ქრისტიანად ითვლება, თუმცა ქრისტიანობის წესს ასში ერთიც არ ასრულებს.

ბაქოს გუბერნიაში ირიცხება: 30,000 რუსი, 20,000 სომეხი, 20,000 სპარსელი და 443,500 მაჰმადიანი.

მლიხავეტპოლის (ზანჯის) გუბერნიაში ცხოვრობს: 317,412 თათარი, 135,000 სომეხი და 11,000 რუსი.

მრეენის გუბერნიაში: 256,001 სომეხი, 185,000 თათარი და 11,000 რუსი.

დადესტანში სხვა-და-სხვა მაჰმადის წესის აღვიარებელი ხალხი ითვლება 438,299 სული და რუსებიც—10,000-მდინ.

